

ბავშვის ასაკში ქორწინების სამართლებრივი ასპექტები -საქართველოსა და ევროპის
საბჭოს წევრი ქვეყნების კანონმდებლობის და პრაქტიკის შედარებითი ანალიზი

ლანა მარლია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

სამართლის სკოლის

საჯარო სამართალი და პოლიტიკის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის

აკადემიური ხარისხის

მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო ნაშრომი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ გურჩიანი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერაქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ლანა მარღია 30.01.2021

აბსტრაქტი

ბავშვის ასაკში ქორწინება, ანუ ნაადრევი ქორწინება არის ოფიციალური, ან არაოფიციალური კავშირი ორ ადამიანს შორის, რომელთაგან ერთი მაინც არის არასრულწლოვანი, 18 წელს მიუღწეველი პირი. იმის გამო, რომ 18 წლამდე პირი ჯერ კიდევ ბავშვია, ნაადრევი ქორწინებით ირღვევა ბავშვის უფლებები.

წინამდებარე ნაშრომი ეხება ბავშვის ასაკში ქორწინების სამართლებრივ ასპექტებს - საქართველოსა და ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების კანონმდებლობის და პრაქტიკის შედარებითი ანალიზს.

ბავშვის ასაკში ქორწინება ისევ აქტუალურია 21-ე საუკუნეში და უარყოფით ზეგავლენას ახდენს არასრულწლოვანი გოგოების უფლებრივ მდგომარეობაზე. საქართველოში დღესაც მაღალია ბავშვის ასაკში ქორწინების მაჩვენებელი, თუმცა ბავშვის ასაკში ქორწინება არ არის მხოლოდ ჩვენი ქვეყნის პრობლემა. ეს მთელი მსოფლიოს პრობლემას წარმოადგენს. ნაშრომში შედარებულია ბავშვის ასაკში ქორწინების პრაქტიკა და მისი სამართლებრივი რეგულირება სხვადასხვა ქვეყნების, მათ შორის, საქართველოს მაგალითზე და ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების პრაქტიკის გათვალისწინებით.

გარდა, ამისა ნაშრომში მიმოხილულია ძირითადი საერთაშორისო რეკომენდაციები და პრაქტიკა, რაც დაკავშირებულია ბავშვის ასაკში ქორწინებასთან, რა არის გამომწვევი მიზეზები და როგორ შეიძლება აღნიშნული მავნე პრაქტიკის დროული აღმოფხვრა. ნაშრომის ბოლოს მოცემულია რეკომენდაციები, თუ როგორ შეიძლება გადაიჭრას არსებული მძიმე მდგომარეობა მსოფლიოს მასშტაბით.

საკვანძო სიტყვები: ბავშვის ასაკში ქორწინება, რეპროდუქციული უფლებები, სკოლის მიტოვება, სიღარიბე, განათლება, დაუწერელი ტრადიციები და ნორმები, მოზარდების ორსულობა, საერთაშორისო პრაქტიკა.

Abstract

Child marriage, or early marriage, is a formal or informal union between two people, at least one of whom is a minor, under 18 years of age. Because a person under the age of 18 is still a child, early marriage violates the rights of the child.

This paper deals with the legal aspects of child marriage - a comparative analysis of the legislation and practice of Georgia and the member states of the Council of Europe.

Child marriage is still relevant in the 21st century and negatively affects the legal status of underage girls. The rate of child marriage is still high in Georgia, but child marriage is not the only problem in our country. This is a problem for the whole world. The paper compares the practice of child marriage and its legal regulation with the example of different countries, including Georgia, and taking into account the practice of Council of Europe member states.

In addition, the paper reviews key international recommendations and practices related to child marriage, what causes them, and how these harmful practices can be addressed in a timely manner. At the end of the paper, recommendations are given on how the current difficult situation around the world can be resolved.

Keywords: child marriage, reproductive rights, school dropout, poverty, education, unwritten traditions and norms, adolescent pregnancy, international practice.